

პრეს-რელიზი

ღია მონაცემების პლატფორმის - WWW.DATA.GOV.GE-ის განვითარების გეგმები და პერსპექტივები

თბილისი. 21 იანვარი, 2020 – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად (DEA) გამართა შეხვედრა თემაზე: **ღია მონაცემების პლატფორმის - WWW.DATA.GOV.GE-ის განვითარების გეგმები და პერსპექტივები.**

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორმა, **ლევან ავალიშვილმა**; მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსმა **ნატალია გოდერძიშვილმა** და მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა **ქეთევან ცანავამ**.

„საქართველოში ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის კუთხით მთავარი გამოწვევა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და სტანდარტების არარსებობაა. სწორედ ამ პრობლემის გამო, მწირია იმ მონაცემების ჩამონათვალი, რომლებსაც საჯარო დაწესებულებები ღია და დამუშავებად ფორმატში აქვეყნებენ. მართალია, არსებობს ღია მონაცემების ერთიანი სახელმწიფო პორტალი, მაგრამ საჯარო დაწესებულებები კანონმდებლობით ვალდებული არ არიან ცალკეული მონაცემები ამ პორტალზე გამოაქვეყნონ და ეს მხოლოდ მათ კეთილ ნებასა და აქტიურობაზეა დამოკიდებული.“ - **აღნიშნა ლევან ავალიშვილმა.**

„ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობა ბიზნესისა და საზოგადოებისათვის მრავალი სასარგებლო შედეგის მომცემია: იგი იძლევა ახალი ინოვაციური იდეების გენერირების შესაძლებლობას, რაც ინდუსტრიული სექტორის მიერ თანამედროვე პროექტებში რეალიზდება- მაგალითად, მობილური აპლიკაციების სახით; აკადემიური წრეებისთვის იქმნება ახალი კვლევით- საგანმანათლებლო მასალა, ხოლო, საბოლოო ჯამში, საზოგადოება იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს და სარგებლობს მასზე უფრო მეტად ორიენტირებული საჯარო სიკეთეებით.“ - **აღნიშნა ნატალია გოდერძიშვილმა.**

ღონისძიების მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, ბიზნესისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ერთად განხილულიყო ღია მონაცემების პლატფორმის - WWW.DATA.GOV.GE-ის საჭიროებები, გამოწვევები და განვითარების გეგმები.

შეხვედრაზე საუბარი შეესო შემდეგ საკითხებს:

- *ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისთვის: საჯარო და კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება და მედია;*
- *ღია მონაცემების პლატფორმა - WWW.DATA.GOV.GE: მიღწევები, გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზები, არსებული საჭიროებები და პლატფორმის განახლების გეგმები;*
- *ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის კუთხით სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებები;*

➤ ღია მონაცემების პლატფორმის საერთაშორისო მაგალითები და კარგი პრაქტიკები.

შეხვედრა ჩატარდა პროექტის - **სადამკვირვებლო ჯგუფების გაძლიერება მთავრობის ანგარიშვალდებულებისთვის** - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია **ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის** მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.

მედიასთან საკონტაქტო ინფორმაცია: მაგდა გუგავა, IDFI, +995 599 420206, m.gugava@idfi.ge